

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით რომლებმაც სისტემური ხასიათის პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას - მათ შორის ფერმერული მეურნეობების დაახლოებას, მათი თანამშრომლების სწავლებას და ასევე კოოპერატივების ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი; ამ პროცესმა თავისთავად განაპირობა თანამშრომლობისა და საქმიანობის ურთიერთობების ჩამოყალიბება, თუმცა მიგვაჩნია, რომ მდგომარეობა არსებითად, გასაუმჯობესებელი. გასანვითარებელია მაღალ ხარისხის და ეფექტური ქსელური ურთიერთობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია როგორც სხვადასხვა დარგობრივი ასევე დარგთაშორისი ხასიათის მტკიცე, თანამედროვეობის შესატყვისი (ტექნოლოგიური) და ეფექტური საკომუნიკაციო ქსელის აგება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (ხელშეწყობა ასეთი ქსელის აგება ერთმხრივ ხელს შეუწობს ჯანსაღი და წარმატებული პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ასევე თანამშრომლობის საჭიროების გააზრებას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციების, საქმიანი წინადადებებისა და ბიზნეს იდეების ბანკის შექმნას, რომელი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ამ მიმართულებით პოზიტიურ მოვლენად აღვიქვამთ, რომ ადგილობრივი პარტნიორობის ფარგლებში გამართული შეხვედრების პროცესში გამოიკვეთა იდეა და პარტნიორთა დიდი ნაწილის უშუალო ჩართულობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის“ დასაფუძნებლად, რომლის ერთერთი მთავარი ფუნქცია, სწორედ საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარების ხელშეწყობა იქნება.

ამასთან ყველა ამ პროცესში აუცილებლად იქნება ჩართული მუნიციპალიტეტი, როგორც ერთერთი დაინტერესებული და წამყვანი მხარე, ამასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) განვითარებას ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.

**6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია**  
ზესტაფონის მერიაში არის მზაობა მაქსიმალურად იყოს დაცული გამჭვირვალეობის, დიპლომატიის, კარგი მმართველობის პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის მაქსიმალურ გარანტიებს, ხელს უწყობს თვითმმართველობისადმი ნდობის ამაღლებას და მის შენარჩუნებას.

მნიშვნელოვანია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში რამდენიმე წელია დანერგილია საქმისწარმოების/აღრიცხვის ელექტრონული სერვისები/(ელექტრონული საქმისწარმოება), რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებულმა მხარემ ოპერატიულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია, მ. შ. - ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მოქმედებს მუნიციპალური ვებგვერდი [www.zestaphoni.com](http://www.zestaphoni.com), ასევე არსებობს საკუთარი ფეისბუქ გვერდი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, აღნიშნულ მისამართებზე პროაქტიულად სისტემატურად ქვეყნდება მისაღები თუ მიღებული პროექტების შესახებ შესაბამისი ინფორმაციები, რომლებიც ყველასათვისაა ხელმისაწვდომი, თუმცა ორივე ეს სერვისი შესაძლებელია გაუმჯობესდეს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან შექმნილია და მოქმედებს: „სამოქალაქო საბჭო“, „გენდერული საბჭო“; ასევე მერიის უშუალო ჩართულობით ჩამოყალიბების პროცესშია ა(ა)იპ - „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი“, რომლის დამფუძნებლები და პარტნიორები ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები იქნებიან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გვაქვს ბიუჯეტის საზოგადოებრივი მონიტორინგის პრაქტიკა, თუმცა კარგი იქნება ამ პრაქტიკის რეგულარული დანერგვა.